DEUTSCHE WIRTSCHAFTS VEREINIGUNG | გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება

სარჩევი

დაგეგმილი ღონისძიებები	2
ჩატარებული ღონისძიებები	3
წევრთა სიახლეები	7
წევრთა შეთავაზებები	11

თქვენი საიმედო პარტნიორი

თვალყური ადევნეთ ჩვენს სოციალურ ქსელს და შემოგვიერთდით ფეისბუქსა და ლინკდინზე!

ოფიციალური წარმომადგენლობა

messe frankfurt

SES Senior Experten Service DER WELT EXPERTEN DIENST

FRUIT LOGISTICA

Senior Experten Service
მარია ბრეგაძე
maria.bregadze@dwv.ge

Messe Frankfurt und Fruit Logistica
ვატო კასრაძე
vato.kasradze@dwv.ge

თანამშრომლობა

GTAI GERMANY TRADE & INVEST

DIHK Deutscher Industrie- und Handelskammertag

giz Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH

კონტაქტი

გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება
რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი
თომას კიმმესვენგერი
+995 32 220 5767
thomas.kimmeswenger@dwv.ge

HiPP
Das Beste aus der Natur.
Das Beste für die Natur.

დაგეგმილი ღონისძიებები

DWV-Get Together

ძვირფასო ქალბატონებო და ბატონებო,

გიწვევთ გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების მორიგ “Get Together” ღონისძიებაზე:

ოთხშაბათს, **16 აგვისტოს, 18:00 საათიდან ივერია კაფეში.**

მისამართი: 1 ვარდების რევოლუციის მოედანი, 0108 თბილისი.

მოუთმენლად ველით თქვენთან შეხვედრას!

თქვენი DWV.

Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

DWV-IDA ბიზნეს ფორუმი

2023 წლის 3 ივლისს სასტუმრო “რუმს თბილისში” გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების და დამოუკიდებელ დირექტორთა გაერთიანების (IDA) ერთობლივი ბიზნეს ფორუმი გაიმართა.

მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩი საქართველოში, ბატონი ერნსტ პეტერ ფიშერი, და დამოუკიდებელ დირექტორთა გაერთიანების (IDA) საბჭოს წევრი, ბატონი ტარიელ გვალია.

ღონისძიება გახსნა და წარმართა გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების მმართველი საბჭოს თავმჯდომარემ, დოქ. საშა ტერნესმა.

გერმანიის რესპუბლიკური ფედერაციის ელჩმა საქართველოში, ბ-ნ ერნსტ პეტერ ფიშერმა მიმოიხილა არსებული ვითარება.

IDA-ს მმართველი საბჭოს წევრმა, ბ-ნ ტარიელ გვალიამ წარადგინა პრეზენტაცია თემაზე: "**კორპორატიული მმართველობა და ეფექტური სამეთვალყურეო საბჭო - ბიზნესის წარმატების ფორმულა**".

მოხსენების შემდეგ მონაწილეებმა დასვეს შეკითხვები და მიიღეს დამატებითი ინფორმაცია მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე; გაიმართა საინტერესო დისკუსია.

ფორუმის დასასრულს კი სტუმრებმა ერთმანეთთან კომუნიკაცია არაფორმალურ გარემოშიც შეძლეს.

Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

ჩატარებული ღონისძიებები

DWV-ტრენინგი

2023 წლის 11-12 ივლისს ჩატარდა გერმანიის ეკონომიკური გაერთიანებისა (DWV) და BPN Georgia-ს ერთობლივი ორ დღიანი ტრენინგი თემაზე: **“ბიზნესის განვითარების გეგმა და ფინანსური აღრიცხვა”.**

დღე 1:

ვორქშოპის პირველ ნაწილში მონაწილეებმა შეისწავლეს ბიზნეს გეგმის შედგენის ძირითად პრინციპები; გაიაზრეს და, პროფესიონალების დახმარებით, სტრუქტურა მისცეს ბიზნეს იდეებს; ნათლად დაინახეს ძლიერი და სუსტი მხარეები, შანსები და რისკები; შეძლეს, შეემუშავებინათ სტრატეგია, დაესახათ კონკრეტული მიზნები ბიზნეს საქმიანობის განვითარებისათვის და შეედგინათ მასზე მორგებული ბიზნეს გეგმა; წარმოადგინეს ბიზნეს იდეა მომხიბვლელად და დამაჯერებლად.

დღე 2:

ფინანსური დაგეგმარების ვორკშოპზე მონაწილეებს წარმოდგენა შეექმნათ ფინანსური მენეჯმენტის ძირითად პრინციპებზე მცირე და საშუალო ბიზნეს სექტორში, რაც დაეხმარა მათი საქმიანობის ფინანსური მდგომარეობის გააზრებაში.

მომხსენებლები: მეგი მაისურაძე – ტრენერი, ქოუჩი, BPN საქართველოს ფილიალის ხელმძღვანელი; ნინო მამადაშვილი – ტრენერი, ქოუჩი, „BPN Georgia“-ს ბიზნეს აკადემიის ხელმძღვანელი.

ტრენინგის დასრულების შემდეგ მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები.

Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

ჩატარებული ღონისძიებები

DWV-Get Together

ჩვენი ტრადიციული ღონისძიება "Get Together" 19 ივლისს სასტუმრო "**თბილისი მარიოტში**" ჩავატარეთ.

მოუთმენლად გელით ჩვენს მომდევნო შეხვედრაზე!

Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

ჩატარებული ღონისძიებები

DWV-ტრენინგი

2023 წლის 20-21 ივლისს ჩატარდა გერმანიის ეკონომიკური გაერთიანებისა (DWV) და J&G Counselors-ის ერთობლივი ორდღიანი ტრენინგი თემაზე: **"მენტორინგი მენეჯმენტში".**

ტრენინგი იყო ინტერაქციული ხასიათის, გაჯერებული პრაქტიკული სავარჯიშოებით და ორიენტირებული კონკრეტული ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების შეძენასა და გამომუშავებაზე თეორიის, დემონსტრირების, პრაქტიკისა და რეფლექსიის შეჯერებით.

ორი დღის განმავლობაში განიხილებოდა ისეთი თემები, როგორებიცაა: მენტორინგის არსი; მენტორინგის მნიშვნელობა მენეჯმენტში; მენტორის კომპეტენციები; კომუნიკაციის ტექნიკა მონიტორინგში; პარტნიორული ურთიერთობისა და განვითარების გეგმის შედგენა; სამართლებრივი ურთიერთობის გათვალისწინება; სწავლების პრინციპები; უკუკავშირის მნიშვნელობა და შედეგების შეჯამება.

ტრენინგის გავლის შედეგად მონაწილეებმა განივითარეს მენტორის კომპეტენციები და უნარები; დაეუფლნენ ცოდნის და უნარების ეფექტიანად გადაცემის მეთოდებს როგორც გამოცდილი, ასევე ახალბედა კოლეგებისთვის. ეს ყველაფერი კი მათ საშუალებას მისცემს, წვლილი შეიტანონ კოლეგებისა და დარგის განვითარებაში.

ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ DWV-ს წევრი და არაწევრი ორგანიზაციების წარმომადგენლები, მათ შორის: მეიჯერელ საქართველოდან, თბს ბანკიდან, შპს შოუ ტექნიკის ცენტრიდან, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან და ასოციაცია "ღვინო ბოლნისი"-დან.

ტრენინგს უძღვებოდნენ: სერგი ჯორბენაძე – J&G Counselors-ის მმართველი პარტნიორი, ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი, ევროპის საბჭოს ექსპერტი; რუსუდან კვაჭანტირაძე – PPC ქოუჩი, მენტორი, ტრენერი, ევროპის საბჭოს ექსპერტი.

Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

**ჩვენმა წევრმა, არენსია ექსპლორატორი მედისინმა,
თბილისში თავისი კლინიკა გააფართოვა**

არენსიამ ობიექტები თბილისში 800 მ²-მდე გააფართოვა, პერსონალი კი მეტი ექიმითა და ექთნით შეავსო - ეს ადასტურებს მის საქართველოსადმი, როგორც ნაყოფიერი კვლევის გარემოსადმი, ერთგულებას.

კლინიკას აქვს უახლესი ტექნიკის გადაუდებელი განყოფილება (ინტენსიური თერაპიის განყოფილებასთან ერთად), რომელიც I ფაზის კვლევების ჩატარების ახალ ქართულ რეგულაციას აკმაყოფილებს. ამით ARENSIA უნიკალურ პოზიციას იკავებს საქართველოში, რაც ბოლო 9 წლის განმავლობაში მის ბაზარზე ლიდერობას აძლიერებს.

ARENSIA Georgia-ს ჰყავს პაციენტთა დიდი ჯგუფი და აქვს განსაკუთრებული შესაძლებლობები ადრეული სტადიის ონკოლოგიისა და ანთების საწინააღმდეგო კვლევების მხარდასაჭერად.

Arensia ამაყობს, რომ ქართველ პაციენტებს ყველაზე ინოვაციურ თერაპიაზე წვდომას სთავაზობს!

Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

“დიო”-ში ახალი, განსხვავებული ტენტი “ათენა”!

„დიო“ მომხმარებელს კვლავ სიახლეებით ანებივრებს და ამჯერად ახალ, ბერძნული წარმოების ტენტს „ათენას“ სთავაზობს! პროდუქტი პრაქტიკულია ნებისმიერი ამინდის დროს, წვიმისა და მზისგან იცავს გადახურულ ტერიტორიას და, ამავდროულად, შედარებით მდგრადია ქარის მიმართ. მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს, თეთრ, სადა კონსტრუქციას სასურველი ფერის, ესპანური ბრენდი Recasens-ის ქსოვილი მოარგოს სახლის დიზაინისა და გემოვნების შესაბამისად.

„დიო”-ში მომხმარებელთა უკუკავშირს ყოველთვის სიამოვნებით, ყურადღებით ისმენენ და იციან მათი საჭიროებები. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ „დიო”-ს ტენტების მრავალფეროვანი არჩევანი აქვს, მოთხოვნიდან გამომდინარე, ბაზარზე ახალი, ქარის მიმართ შედარებით მედეგი საჩრდილობელი ტენტი „ათენა“ შემოიტანა. მოსავლელად მარტივი პროდუქტი გამოსაყენებლად ძალიან კომფორტულია, თავისივე სამაგრებით მყარ ზედაპირზე მაგრდება, დახვეწილი შესახედაობა კი შენობას უფრო თანამედროვეს ხდის. ტენტი განსაკუთრებით საჭირო პროდუქტია, რადგან დაჩრდილული გარეთა ფასადი შიდა სივრცეს ულტრაიისფერი სხივებისგან იცავს და სიგრილეს უზრუნველყოფს, რაც, თავისთავად, გასაგრილებლად კომუნალური ხარჯების შემცირებასა და ეკოლოგიაზე ზრუნვას გულისხმობს.

მსურველებს “ათენას” შერჩევა „დიო”-ს ნებისმიერ ფილიალში, თბილისში, თელავში, ბათუმსა თუ ქუთაისში შეუძლიათ, რის შემდეგაც მას მაქიმალურად მოკლე დროში აზომავენ და დაამონტაჟებენ.

პროდუქტი იდეალურია მათთვის, ვისაც გარე სივრცეში, ტერასებსა თუ აივნებზე მრავალფეროვანი, ფუნქციური სივრცის შექმნა სურს, მისი მყარი კონსტრუქცია და გამძლე ქსოვილი კი ხანგრძლივ ექსპლოატაციას უზრუნველყოფს.

Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

„ნექსია საქართველოს“ საერთაშორისო ჯილდო „Leader of the year“, მის მმართველ პარტნიორებს კი საერთაშორისო ჯილდო „Chief of the year” გადაეცათ

საერთაშორისო აუდიტორული კომპანიის, „ნექსია საქართველოს“ მმართველ პარტნიორებს ეფექტური მენეჯმენტისთვის საერთაშორისო ჯილდო „Chief of the year” გადაეცათ.

დაჯილდოება შვეიცარიის სარეიტინგო ასოციაციისა და ნაციონალური ბიზნეს რეიტინგების კავშირის ორგანიზებით გაიმართა. ცნობისთვის, წლევანდელ ცერემონიალზე "ნექსია საქართველო" ერთადერთი აუდიტორული კომპანია გახდა, რომელმაც საერთაშორისო ჯილდო - „Leader of the year“ მიიღო.

აღსანიშნავია, რომ მენეჯმენტის მიმართულებით ეს „ნექსია საქართველოს“ პირველი აღიარება არ არის. საერთაშორისო და ადგილობრივ ჯილდოებთან ერთად, კომპანიის მმართველი პარტნიორებისა და მენეჯმენტის მუშაობის პრინციპები „ნექსიას“ ქსელის საერთაშორისო კონფერენციებზე არაერთხელ აღინიშნა და წლებია, ქართული ოფისი, როგორც აუდიტორული სფეროს უმსხვილესი დამსაქმებელი, ქსელის წევრებს საკუთარ გამოცდილებასა და გუნდის ეფექტური მართვის მექანიზმებს უზიარებს.

„ნექსია საქართველოში“, რომლის ძირითადი აქტივიც ადამიანური კაპიტალია, მენეჯმენტის უმთავრესი მიზანი სამუშაო ძალის მრავალფეროვნებაზე ზრუნვა და თანამშრომლებისთვის სწრაფ პროფესიულ განვითარებაში მხარდაჭერაა, რასაც მმართველი პარტნიორები რეგულარული ტრენინგებითა და პროგრამებით ახორციელებენ.

Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

გრანთ თორნთონ საქართველომ HR hub-ის მიერ ორგანიზებულ HR სამიტზე ვორკშოპებს უმასპინძლა

HR hub-ის ორგანიზებით, 14 ივლისს ბიოლში წლის მთავარი HR მოვლენა - HR ბიზნეს სამიტი 2023 - გაიმართა, რომელიც უკვე მეექვსე წელია ყოველწლიურად ტარდება. გრანთ თორნთონი ღონისძიების ტრადიციული სპონსორია და წელს მონაწილეთათვის HR პროფესიონალებისთვის მომზადებულ ვორკშოპებს უმასპინძლა.

გრანთ თორნთონის ვორკშოპები მოიცავდა ისეთ თემებს, როგორებიცაა: „რისკების შემცირება შრომითიურთიერთობების შეწყვეტის პროცესში“ და „დასაქმებულის პერსონალური მონაცემების დაცვა“. სწორედ ამ პრაქტიკულ საკითხებზე და კანონმდებლობაში მოსალოდნელ ცვლილებებზე ისაუბრეს გრანთ თორნთონ საქართველოს იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, ნინო ჯოლიამ, და გრანთ თორნთონ საქართველოს იურისტმა, ნინო ყველაიძემ.

ვორკშოპებს ინტერაქციული ხასიათი ჰქონდა, რაც საშუალებას აძლევდა დამსწრე პირებს, დამატებით კითხვები დაესვათ სპიკერებისთვის და მიეღოთ დარგის ექსპერტებისგან კვალიფიციური და არგუმენტირებული პასუხები.

ვორკშოპის თემების დეტალური აღწერა:

რისკების შემცირება შრომითი ურთიერთობების შეწყვეტის პროცესში - შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა წარმოადგენს კომპლექსურ პროცესს, რა დროსაც მნიშვნელოვანია, დამსაქმებელმა იმოქმედოს არსებული რეგულაციების შესაბამისად;
დასაქმებულის პერსონალური მონაცემების დაცვა – არსებული გამოწვევები და მოსალოდნელი საკანონმდებლო ცვლილებები - კომპანიების ყოველდღიურ საქმიანობაში დიდი რაოდენობით პერსონალური მონაცემები მუშავდება, ამ პროცესში კი მნიშვნელოვანია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობის ზედმიწევნით ცოდნა.

გრანთ თორნთონ აკადემიის ტრენინგების კატალოგის ჩამოტვირთვა შესაძლებლია შემდგი ბმულიდან: https://shorturl.at/bzPU1

Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

THE BILTMORE
TBILISI

დაისვენე ქალაქიდან გაუსვლელად

სპეციალური შეთავაზება საქართველოს მოქალაქეებისთვის

400 ₾

ფასი მოიცავს:

- სპა ცენტრით სარგებლობას - აუზი, საუნა, ჯაკუზი და სატრენაჟორო დარბაზი
- 1 ღამეს სტანდარტულ ოთახში განთავსებით (ორ ადამიანზე)
- საუზმეს
- გვიან გასვლას
- 20%-მდე ფასდაკლებას სხვადასხვა ტიპის მასაჟზე

ფასი მოცემულია დღგ-ს ჩათვლით და გათვლილია 2 ადამიანზე
ძალაშია 15 აგვისტომდე



The Biltmore Tbilisi Hotel, 29 Rustaveli Ave., +995322 72 72 72
info.bhtg@biltmorecollection.com / millenniumhotels.com

Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

სპეციალური შეთავაზება რუმს თბილისისგან



DWV მკითხველებისთვის

სასტუმროში Rooms Tbilisi 20%-იანი ფასდაკლება მოქმედებს

2023 წლის ბოლომდე

BOOK NOW

ROOMS HOTELS™

Rustaveli Ave. 24, 0108 Tbilisi; Tel.: + 995322 220567; info@dwv.ge